



ფოტოგამოფანა „ქალთა სამოქალაქო აქტივობა 1988-1991 წლებში“ ფოტოგრაფ ნაზი გაბაიძის პირადი არქივიდან შერჩეულ მასალას აერთიანებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა იმდროინდელი საზოგადოების განწყობებს ასახავს: შეშარტებას, პროტესტის დაუძლეველ ძალას. ფოტოებზე აღბეჭდილი ქალები თავისუფლების იმედით აღსავსე თვალებით, შეუპოვარი გამოიმეტყველებით გვიმზერენ. ისინი დაღლილები, მაგრამ მყარი გადაწყვეტილებით სავსენი არიან.

საგამოფენო თემად ქალები შემთხვევით არ შერჩეულა. იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების მთელმა სიმძაფრემ მართლაც მათ მხრებზე გადაიარა, 1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლთა შორისაც უმეტესობა ქალი იყო. ქალების აქტიურობა არცერთ მომდევნო ეტაპზე არ შემცირებულა და როცა სამოქალაქო ომის შემდეგ საქართველოში ქაოსმა და განუკითხაობამ დაისადგურა, რომ არა ისინი, ქვეყანა 90-იანი წლების დიდ დეპრესიას ალბათ ვერც გადაიტანდა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ეროვნული მოძრაობის დასაწყისი პერიოდი, 9 აპრილის შემდგომ განვითარებული მოვლენები, კომუნისტური პარტიის ლიდერებსა და ეროვნულ ძალებს შორის გამართული საიდუმლო მოლაპარაკებები ჩაის სახლში, წითელი ჯვრის ჩამოსვლა, მერაბ კოსტავას დასაფლავება და პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ გამართული გამოსვლები. ყველგან წინა ხაზზე ვხედავთ ქალებს, დედებს, ბებიებს, შვილებს, შვილიშვილებს. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა არა თავად პოლიტიკური პერიპეტეიები, არამედ უბრალო ადამიანები, მათი განცდები და განწყობები იმდროინდელი მოვლენების ფონზე.



n 19/196

PX 4549/1



THE PHOTO EXHIBITION "WOMEN'S CIVIC ACTIVISM IN THE PERIOD OF 1988-1991" COMBINES SELECTED WORKS FROM THE PERSONAL ARCHIVES OF PHOTOGRAPHER NAZI GABAIDZE.

The works presented at the exhibition reflect the attitudes of society at the time: determination and the overwhelming power of protest. The women depicted in the photographs gaze at us with hope-filled eyes and fierce expressions. They are exhausted, but full of solid resolve.



The selection of women as the main subject of the exhibition is far from random. The entire intensity of the political events of the time was carried on their shoulders. The majority of victims of the April 9, 1989 events were women. At no subsequent stage did women's engagement diminish, and when, following the Civil War, Georgia was consumed by widespread chaos and disorder, was it not for them, the country would most likely not have been able to survive the Great Depression of the 1990's.

The exhibition documents the beginning of the National movement, post-April 9 developments, clandestine negotiations at teahouses between the leaders of the Communist Party and the national forces, the arrival of the Red Cross, the funeral of Merab Kostava and subsequent confrontation among the leaders of the National Movement themselves, followed by protests against President Gamsakhurdia. And everywhere, women can be seen on the front lines, mothers, grandmothers, daughters, granddaughters. Our purpose was to demonstrate not the political upheaval itself, but rather simple people, their experiences and sentiments against the background of the events of the time.